საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი.

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნა

საქ. კ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტის ‡ აღმასკომის ყოველ-კვირეული ორგანო.

რედაქცია: დრ. მოთავსებულია— ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფილების შენობაში)

ყოველგვარი მასალები, კორესპოდენციები და განცხადებანი უნდა გამოგზავნოს ამხ. ვ. ნადარეიშვილის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფ.)

პირადათ მოლაპარაკება რედაქციის პას. მგ. მდივან ამხ. ვ. ნადარეიშვილთან შესაძლებელია ყოველდღე (გარდა უქმე დღეებისა) დილის 11-დან ნაშუ. 2 საათამდე.

ტელეფონი—განათლების გაყ

№ 3 კვირა 13 მაისი, 1923 წ. ყოველ-კვირეული გაზეთი ფასი 20,000 მან. № 3

ახალ ლოზანას კვანძი.

დღეს ყველამ უწყის, რომ ოსმალეთ-საბერძნეთის ომი ნამდვილად იყო ომი ოსმალეთსა და ინგლისს შორის. საბერძნეთი ამ შემთხვევაში იყო მხოლოთ ინგლისის მ-ერ დაქირავებული ლაქია. ყველამ უწყის ისიც, რომ ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ახალგაზდა ოსმალეთმა ქემალ-ფაშის მეთაურობით. ინგლისის ინტერესებს ამ ბრძოლაში შეადგენდა ახალგაზდა ოსმალეთზე გამარჯვება, მისი დამორჩილება, მაზე გაბატონება, მისი ბუნებრივი სიმდიდრის (მოსულის ნავთი და სხვა) ხელში ჩაგდება, შავზღვაზე გაბატონება და თავისი გავლენის განმტკიცება მთელს აზიაზე.

ბრძოლის ველზე გამარჯვებული ოსმ ლეთის დამარცხებას ინგლისი ლამობდა სხვა გზით, სხვა საშვალებით და ამისთვის მან მოიწვია, თითქოს ერთმანეთზე გადაკიდებულ ოსმალეთის და საბერძნეთის მოსარიგ-ბლად და ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადასაწ-ყვეტად, კონფერენცია, ჯერ მუდანიაში და შემდეგ კი ლოზანაში. ლოზანას კონფერენციაზე გარდა სხვა და სხვა დაინტერესებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა იყო მიწვეული აგრეთვე საბჭოთა რუსეთი და სხვა მდებარე მეზობლად ოსმალეთთან და შავი ზღვის ნაპირზე საბჭოთა რესპუბლიკები.

ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ლოზანას კონფერენციაზე გამოსულიყვენ შეთანხმებულად, მთლიანი ფრონტით ოსმალეთის და საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, მათ დასამარ-ხ-ლად. პირველ დღეებში მათ კიდეც ეტყობოდათ ეს მთლიანობა და ნიშნებიც იყო კონფერენციაზე ინგლისის გამარჯვებისა. მაგრამ კონფერენციის დამთავრების წინ ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით ინგლისს და საფრანგეთს შორის, არსებულმა ბუნებრივმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი ‡ დაირღვა მათი „მთლიანი“ ფრონტი. საფრანგეთმა უღალატა ინგლისს და განაცხადა, რომ ის ცალკე, სეპარატიულ მოლაპარაკების წარმოებას დაიწყებს ოსმალეთთან.

ამით დაიშალა ლოზანას კონფერენცია და იქ ინგლისმა ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს.

რამ გამოიწვია საფრანგეთის ასეთი მოულოდნელი ღალატი?

საქმე იმაში იყო, რომ საფრანგეთი იმ შემთხვევაში შეუწყობდა ინგლისს ხელს ოსმალეთზე ‡ აზიაზე გამარჯვების საქმეში, თუ კი ინგლისი სამაგიეროთ დაეხმარებოდა საფრანგეთს გერმანიის დამონავება-დამორჩილებაში. ამ ნიადაგზე კიდეც მოხდა შეთანხმება მათ შორის ლოზანას კონფერენციის წინ. საფრანგეთმა დაიკავა გერმანიის გული—რურის ოლქი, მაგრამ მისდა საუბედუროთ, ამან საფრანგეთს ზარალის მეტი არავითარი სარგებლობა არ მოუტანა. ამის მიზეზათ საფრანგეთი სხვა გარემოებებთან ერთად თვლიდა აგრეთვე იმას, რომ ინგლისი მას სათანადო დახმარებას არ უწევდა. ლოზანას პირველი კონ. ფერენციის შემდეგ, რომელიც უშედეგოთ დამთავრდა, ინგლისი ბევრ ხნის წინასწარი მუშაობის შემდეგ იწვევს ხელმეორედ კონფერენციას ლოზანაში, მხოლოთ ამ შემთხვევაში ურუსეთოდ, რომ უფრო უზრუნველყოს იქ თავისი გამარჯვება. ეს კონფერენცია, რომელსაც ეძახიან ახალი ლოზანას, მიმდინარეობს ახლა.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ კონფერენციაზე ოსმალეთი მარტო არის, მას იქ არ ყავს მისი დამხმარე რუსეთი. არ იქნება დიდი ვამბედობა და წინასწარმეტყველობა, თუ ვიტყვით, რომ ამ ახალ ლოზანას მოელის ძველი ლოზანას ბედი. ამის საბუთს, გარდა პირველ ლოზანაზე არსებული პირობებისა, იძლევა ის ახალი ფაქტორი, რომელიც ახალ ლოზანას თან ახლავს. ეს ახალი ფაქტორი არის ამერიკის შეერთებული შტატები.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქემალფაშის ოსმალეთმა ამერიკის კაპიტალისტ ჩესტერს გადასცა საკონცესიოთ მოსულის ნავთი და რკინის გზის გაყვანა, რაც იმპერიალისტური ომის დროს სულთანს ოსმალეთს ქონდა გადაცემული საფრანგეთისათვის. რასაკვირველია, ამერიკის კაპიტალი ისეთივე მტერია ოსმალეთის, როგორც საფრანგეთის კაპიტალი, მაგრამ ამ კონფერენციაზე ამერიკა დაუპირდაპირდება საფრანგეთს, რაც აუცილებლად შეასუსტებს მის პოზიციას. ახალ ლოზანაზე თავი იჩინა ახალმა ფაკტორმა, რომელიც ძველი ლოზანის ფაკტორებთან ერთად ისე გადახლართავს ახლო აღმოსავლეთის საკითხის კვანძს, რომ მის გასჭრას ვერ შესძლებს, ვერც მებრძოლი პუანკარეს და ვერც გამოქნილი დიპლომატი ბონარ-ლოუს „მახვილი“ ხმალი.

ახალ ლოზანას უნდა ეწვიოს ძველი ლოზანის ბედი. ასეთია ჯიუტი ისტორიის ულმობელი კანონები.

ს. მ.-ლია.

მჭიდრო კავშირი სოფელთან.

ჩვენი გაზეთი „კომუნა“ ოფიციალური ორგანოა საქ. კ. პ. სენაკის სამაზრო პარტკომისა და აღმასკომის, რომლების საქმიანობა და მოღვაწეობა ამ ორი წლის განმავლობაში ცნობილია მშრომელ მასისათვის, როგორც პოლიტიკურ, ისე საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში. არამც თუ საბჭოთა ხელისუფლების მოყვარენი, არამედ მისი მტრებიც ხედავენ ამ მაზრის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა თავდადებულ, ენერგიულ და დუღალაკი მუშაობის რეალურ შედეგებს, მხოლოთ თვალებ დავსებულთ და გონება დაკარგულებს შეუძლიათ ამის უარყოფა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორგანოების მიერ მთელი ორი წლის განმავლობაში, წარმოებულ მეტად მნიშვნელოვანი საყურადღებო მუშაობას და გადადგმულ ნაბიჯებს პოლიტიკურ აღმშენებლობის სფეროში მასთან დაკავშირების საქმეში, დარჩენილი იყო უ‡ ‡ ‡

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! ფეიქრინეთ მშრომელთა ინტერესების დამცველი გაზეთი — „კომუნა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია.

ძლებელია ადგილი ქონდეს საბჭოთა ხელისუფლებაშიაც. ყოველივე ეს ჩვენი გაზეთის საშვალებით უნდა იქნეს გამომჟღავნებული.

ზოგიერთი კორესპოდენტები ვერ ბედავენ პირდაპირ დაწერას რაიმე უსამართლობის წინააღმდეგ იმ შიშით, რომ ვაი თუ ამ „მალალ პოსტზე“ მომუშავემ თავისი რისხვა უჩვენოს მას. ამაზე სარედაქციო კოლეგია აცხადებს ყველა კორესპოდენტების საყურადღებოდ შემდეგს: თანახმად ს. ს. ს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს დადგენილებისა სასტიკ პასუხისგებაში ეძლევა ის პირი, ვინც მუშა კორესპოდენტს დევნას დაუწყებს სიმართლე და სინამდვილის გამომჟღავნებისათვის.

რედაქციის პას. მგ. **ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.**

გეგმა და საშვალებანი.

II.

წინა წერილში მე აღვნიშნავდი, რომ დიდი ენტუზიაზმი არის შექმნილი აღმშენლობის საქმეში. ყველაფერი დღეს მოითხოვს მოგვარებას, დაკმაყოფილებას: განათლების, ჯანმრთელობის, მეურნეობის, წარმოების და სხვა დარგები თავიანთი მოთხოვნილებითი ფურცლებით დგანან ხელისუფლების წინაშე. რომელიმე მათგანის სავსებით, მაქსიმალურად დაკმაყოფილება ნიშნავს სხვა დარგების სრულიად უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებას, ფინანსიური კრიზისის გამო.

ასეთ პირობებში ხელისუფლების მოვალეობაა გონიერად განსჭვრიტოს მაზრის მტკივნეული ადგილები, შეადაროს ერთმანეთს სხვა და სხვა საჭიროება—მოთხოვნილებანი და გაანაწილოს მის განკარგულებაში გადაცემული შემოსავალი—ფინანსი, არა სხვა და სხვა დარგების მოთხოვნილების, არამედ მათი აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებათა მიხედვით. დღევანდელ პირობებში ჩვენ ორგვარი საქმეების კეთებას ვაწყდებით: საჭირო და აუცილებლად საჭირო. ეს მეორე კატეგორიის საქმეები იმდენად ბევრია, რომ თუ დავაკვირდებით მდგომარეობას, პირველზე ლაპარაკიც არ მოგვიხდება. ამიტომ აღმშენებლობის ნორმალურად განსავითარებლად საჭიროა დაცულ იქნას წონასწორობა სხვა და სხვა დარგებს შორის, ე. ი. ფინანსების რაციონალურად განაწილება.

ეხლა განვიხილოთ, თუ რამდენად დაცულია ჩვენს მაზრაში ზემოაღნიშნული პრინციპი. საჭიროა ჯერ გავაცნო მკითხველს სამაღმასკომის შემოსავალი 1923 წ. ადგილობრივი მმართველობის შემოსავლის წყაროებით, რომელიც განსაზღრულია ცენტრალურ მთავრობის მიერ, სამაღ-ს შემოსავალი არის:

1) სხვა და სხვა ბაჟები და გადასახადები	—21,500	მან.,
2) კომუნალურ წარმოებათა შემოსავალი	—16,000	„
3) პროცენტული გადმორიცხვანი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისაგან	—60,000	„
4) სხვა და სხვა შემთხვევითი შემოსავალი	— 2,500	„
ს უ ლ	100,000	მან.

აი ის თანხა, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს აღმშენებლობის ყველა დარგები და უზრუნველყოს მაზრის მოსამსახურეები ჯამაგირებით. ცხადია, რომ ეს თანხა საკმარისი არ არის, მაგრამ მისი გადიდებაც, თუ არა განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც შეიძლება ცენტრმა მაზრას სუბსიდია მისცეს, ვერ მოხერხდება. ამიტომ სწორედ სამაზრო აღმასკომმა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საქმეების კეთება ა. წ. გადასდვა, როგორიცაა: ქ. ახაალ-სენაკში სახალხო სახლის გაშენება, აბაშის და ბანძის უბნების მორწყვა, და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საქმეები. აღმასკომის განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვანი, რომლებიც ემყარებოდენ სუბიექტიურად სწორ მოსაზრებებს, ობიექტიურმა პირობებმა უარყვეს. აღმასკომმა მთავარი ყურადღება მიაქცია გადაუდებელ საქმეებს და ამის მიხედვით თავისი შემოსავალი გაანაწილა. მიმდინარე წლის თებერვალში შემდეგნაირად იქნა დამტკიცებული აღმასკომის წლიური ხარჯთ-აღრიცხვა:

განყ-ს სახელწ.	წარმოადგინა	დამტკიცდა	პროც. დამოკიდებულება.
1. განათლების	15,000 მან.	12,000 მან.	12%
2. ჯანმრთელობის	40,000 „	32,500 „	32%
3. მიწად-მოქმედ.	5,000 „	3,500 „	3½%
4. კომუნალური	50,000 „	28,000 „	28%
5. აღმასკომის სამმართვ.	20,000 „	15,500 „	15½%
6. მილიცია	5,000 „	3,000 „	3%
7. აგრანომიული ქ./განყოფილება	10,000 „	5,500 „	5½%
ჯამი . .	133,500 მან.	100,000 მან.	100%

როგორც ხედავთ, ხარჯთ-აღრიცხვა შემცირებულია 33,555 მან.-თ უდავოა, რომ თუ არა უსახსრობა, საქმე მაზრაში მეტი გაკეთდებოდა მაზრის ხელმძღვანელები ამისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებდენ, მაგრამ ეკონომიკა განსაზღვრავს ჩვენს მოქმედებას. ეს ცოტაა, სახელმწიფოს ხარჯების შემცირების მიზნით, ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით (დეკრეტი № 82) განზრახულია თემთა აღმასკომების და სახალხო სასამართლოების ადგილობრივ, მაზრის კმაყოფაზე გადარიცხვა; ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება ნიშნავს სამაზრო აღმასკომის გასავლის 2½ მილიარდ მანეთით გადიდებას თვიურად, შემოსავალი კი მოემატება აღმასკომს იმავე დეკრეტით 500 მილიონ მანეთამდე. რას გვეუბნება ყველაფერი ეს? გვეუბნება მომჭირნეობაზე, ხარჯების მინიმუმამდე შემცირებაზე, მოსამსახურეთა შტატების შემოკლებაზე და სხვა. ერთი სიტყვით, არ უნდა მოხდეს ისე, რომ მაზრის აღმასკომის მთელი შემოსავალი მხოლოდ ჯამაგირებზე იხარჯებოდეს. ხარჯების შემცირების საკითხი წარმოების სასარგებლოდ, დღეს როდესაც ჩვენ შესვენების ხანას განვიცდით, საერთო საკითხად არის ქცეული მთელ საბჭოთა ფედერაციაში. „Береги советскую копейку, получишь социалистический рубль“*) ლაპარაკობს ამხ. ტ რ ო ც კ ი. სენაკის სამაზრო აღმასკომი ამ მხრივ ენერგიულად მუშაობს; განყოფილებებში შტატები მინიმუმამდე დაიყვანა, ქალაქსა და დაბებში ზოგიერთი დაწესებულებები ადგილობრივ ხარჯზე გადარიცხა, თემთა აღმასკომებში ახალი სტრუქტურის შეტანაზე კომისარიატში თავისი გეგმა წარადგინა და სხვა.

საჭიროა თემებმაც მიბაძონ სამაზრო აღმასკომს, საჭიროა შემოკლდეს დღეს თემში არსებული ხარჯები, რომელთა 50%-ს შემცირება უმტკივნეულოთ შეიძლება. უნდა მიექცეს ყურადღება გლეხის ეკონომიურ მდგომარეობას; არ უნდა გამოვართვათ მას იმაზე მეტი, რაც მას შეუძლიან. უნდა დაცულ იქნას პრინციპი, რომელიც წამოაყენა რ. კ. პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე ამხ. კომენევმა: „გლეხმა ჩვენი ხელისუფლების დროს უნდა იგრძნოს, რომ მას ყოველწლობით ქონება ემატებაო“. დიდი აზრია ამ სიტყვებში გამოთქმული. ამხ. კამენევმა ის სთქვა ჩვენდა საყურადღებოდ და ჩვენ ის უნდა დავიცვათ.

კ. მელიქაძე.

*) (შეინახე საბჭოთა კაპეიკი, მიიღებ სოციალისტურ მანეთს.)

მიბაძეთ სენაკის მაზრას!

უკვე ორი თვე გავიდა, რაც სენაკის მაზრის მუშებმა და გლეხებმა დაანგრიეს—დახურეს ყველა ეკლესიები და გადააკეთეს ისინი კლუბებად,-კულტურულ დაწესებულებად.

ამ ამბავს არავითარი უკმაყოფილება არ გამოუწვევია შრომელ მასაში: მუშები, გლეხები და წითელი ახალგაზდობა—მოწაფეები დიდის სიხარულით შეხვდენ ამ ამბავს. იყო რასაკვირველია უკმაყოფილოთა რიცხვი, რომელიც მოსახლეობის სულ მცირე %-ს შეადგენდა.

ამ საქმის ინიციატორობა თვით მუშებმა და გლეხებმა აიღეს, ხოლო კომუნისტური პარტია კი, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობდა ყოველივე ამას. დღეს ყველასი გონება განთავისუფლებულია ეკლესიის გავლენისაგან; არ არის არც ერთი ეკლესია ⊳ არც ერთი ანაფორიან გრძელწვერიანი მღვდელი..

ახლა ვიკითხოთ—რას შვრებიან ქალაქის მუშები, როგორც მაგალითად თბილისში? არის თუ არა იქ სავსებით დახურული ეკლესიები? არა. რატომ, რისთვის? ნუ თუ ქალაქის მუშებმა ვერ შეიგნეს ის რაც სოფლის გლეხებმა შეიგნეს? ეს დაუჯერებელიც არის და მიუღებელიც. ჩვენ არ შევუდგებით იმის გარჩევას, თუ რატომ ხთება იქ ასე, ⊳ხოლოდ ვიტყვით კი, რომ ეს გარემოება საპრავაკაციო მასალადაა გადაქცეული ჩვენში: მიგვითითებენ მაშინათვე თფილიზსი—„აი იქ არ დაუხურავთ ჯერ ეკლესიებიო“.

სენაკის მაზრას აყვა ბევრი მაზრები, მაგ. ზუგდიდი, ჭუთაისი, ლეჩხუმი, რაჭა და ნაწილობრივ სხვა მაზრები,ც რომლებიც ამ ჟამად აქეთკენ მიდიან.

დეე! თვით დედა-ქალაქმაც გადადგას ნაბიჯი მონობის ბუდის უვიცობისა და სიბნელის ერთხელ და სამუდამოდ აღმოსაფხვრელად.

მუშა სანდრო თურქია.

ამხ. საშა ლიფშიცის.

„ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლა კი ცხოვრებაა“,—აი დარვინიზმი რას გვასწავლის. ადამიანი იბრძვის და ქმნის, მიუხედავათ ყველაფრისა ამა თუ იმ კლასისათვის ღირებულებას. როდესაც თვითმკვლელობა ხთება, არ შეიძლება ამან ადამიანი არ ჩააფიქროს: „რატომ, რისთვის, რამ გამოიწვია ეს?“ ებადება მას კითხვა. ადამიანმა თავი რომ მოიკლას, მას სჭირია ხასიათის სიმტკიცე, ნებისყოფა. აბა სცადეთ, მარცხენა ძუძუს მიუღერეთ რევოლვერი, ოხ, მკითხველო!—რა განცდა იქნება მაშინ—როგორ საშინლად გადგეშლება თვალწინ შენი ამხანაგები, მთელი შენი წარსული

ღია წერილი სენაკის მაზრის მშრომელ გლეხკაცობისადმი.

II.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲝ ᲒᲚᲔᲮᲙᲐᲪᲝᲑᲐ!

პირველ წერილში (იხილეთ გაზეთი „კომუნა„-ს № 2 6 მაისიდან) მე თქვენ გწერდით იმის შესახებ, რომ თქვენი ქონების მთავარი წყარო არის მეურნეობა, განსაკუთრებით სიმინდი, და მოგიწოდებდით თქვენ ხვნა თესვისაკენ გაათკეცებული ენერგიით და სურვილით. გწერდით აგრეთვე იმის შესახებ, რომ თქვენი მეურნეობის ასამაღლებლად საჭირო იყო და არის სამი მასალა: მიწა, ტეხნიკა და ცოდნა. გაკვრით შევეხე იმასაც, რომ ხვნა-თესვის საქმეში მიმდინარე წელს გეტყობათ ცოტა, შედარებით შარშანდელ წელთან, გულგრილობა და ამის ერთ-ერთ მიზეზათ დავასახელე სიმინდის ფასის დაცემა, სოფლის ნაწარმოების ფასების შეუფერებლობა ქალაქის ნაწარმოების ფასებთან. ეს გარემოება სოფელს გულს უტეხს ქალაქზე; სოფლის მეურნეებში, გლეხებში, იწვევს გაუგებრობას; ხან კი საყვედურსაც ქალაქის მუშებისადმი. ზოგჯერ ამას თითზე იხვევენ მშრომელთა სხვა და სხვა მტრები იმისათვის, რომ შეასუსტონ ამხანაგური კავშირი ქალაქის მუშებს და სოფლის მეურნეებს შორის და ამ უთანხმოებაზე თვითონ ხელი მოითბონ ორივეს საზიანოთ. სწორეთ ამ საკითხზე ე. ი. ქალაქის მუშებისა და სოფლის მეურნეების კავშირის შესახებ მინდა მე გესაუბროთ თქვენ ამ წერილში.

ამხანაგებო! ოქტომბრის რევოლიუციას, რომელმაც დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება, გამარჯვება მიანიჭა სწორეთ ქალაქის მუშების-პროლეტარიატის და სოფლის მშრომელების-გლეხკაცობის ძმურმა კავშირმა, იმ ნდობამ, რომელიც არსებობდა პროლეტარიატს და გლეხკაცობის შორის. თქვენ იცით, რომ ოქტომბრის რევოლიუცია წამოიწყეს ქალაქის მუშებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ქალაქის მუშებს აყვენ, ზურგი გაუმარგეს სოფლის მშრომელებმა, გლეხებმა და გაიმარჯვა რევოლიუციამ. უდავოა, რომ ოქტომბრის რევოლიუციაში დამარცხდებოდა პროლეტარიატი, რომ მას არ აყოლოდა მშრომელი გლეხკაცობა.

იბადება კითხვა, რატომ აყვა გლეხკაცობა ოქტომბრის რევოლიუციაში პროლეტარიატს?

პასუხი მხოლოდ ერთია—იმიტომ, რომ პროლეტარიატის ინტერესები არ ეწინააღმდეგება მშრომელი გლეხკაცობის ინტერესებს, რომ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება მოუტანს სარგებლობას გლეხკაცობასაც, რომ პროლეტარული რევოლიუცია მიმართულია, როგორც ქალაქის ბურჟუაზიის, კაპიტალისტების, ისე სოფლის წურბელების, მემამულეების წინააღმდეგ. კომუნისტურმა პარტიამ შესძლო დაერწმუნებია გლეხკაცობა, რომ მხოლოდ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება მისცემს მას მიწას და თავისუფლებას, რომ პროლეტარიატის ხელმძღვანელობა, პროლეტარიატის გეგემონია, მეთაურობა, პროლეტარიატის ყოფნა ქვეყნის სათავეში გლეხკაცობისათვის უფრო სასარგებლოა, ვინემ სხვა რომელიმე კლასის, ანუ ჯგუფის მეთაურობა და ქვეყნის სათავეში ყოფნა.

ახლა ვიკითხოთ, მოსტყუვდა გლეხკაცობა თავის ანგარიშებში, თუ გაუმართლდა ის იმედები, რომელიც მას ასულდგმულებდა, როდესაც ის იბრძოდა, სისხლს ღვრიდა პროლეტარიატთან ერთად ცხარე ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ?

პასუხი ამ კითხვაზე ყოველი პატიოსანი მოქალაქისა იქნება მხო-

და მომავლის იმედები. სად მიდიხარ! სად?.

ამხ. ს. ლ ი ფ ო ნ ა ვ ა მ თავი მოიკლა, და ამით ჩვენს კავშირს მოაკლდა ერთი წევრთაგანი, ახალგაზრდა ქალი. საშინელი მოვლენაა! საშინელია მით, რომ ის ალბად არ იყო კმაყოფილი ცხოვრებაში, შეიძლება ჩვენ მაზე რამე გვეშველა; შეიძლება ჩვენ მისი დაღვრემილი და მოუსვენარ სახეს ვერც კი მაუხედით.

ჯერ კიდევ უცნობი იყო ჩემთვის ის პირი რომლის შესახებ ამ ჟამად ვწერ; როდესაც მე ჩემდა საუბედუროთ თუ საბედნიეროთ გავიგე მისი ვინაობა ერთ-ერთ მისი ამხანაგ ქალისაგან, რომ მას სჭირდა „ძვლების ტუბერკულიოზი". ჩემს შეკითხვაზე თუ როგორ გაუჩნდა მას ავადმყოფობა, მიპასუხა: ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ის გახდა ავათ „ძვლების დაზიანებით". ის იყო (როგორც ანკეტიდან სჩანს) ღარიბი გლეხის შვილი; მამას ვერ გაუჩნდა საშვალება თავის დროზე ეშველა შვილზე.—ვერავითარ დახმარებას მთავრობა ვერ უწევდა მას, და ახალგაზდა ქალი სიღარიბემ იმსხვერპლა. მას დაუარა ყველა [illegible]ებში ავათმყოფობამ და შემდეგ, რაც გასაკვირია, მისი მორჩენა შეუძლებელი იყო.

ბევრი ხანი არ არის რაც ამხ. ლიფონავა იმყოფება ს. ა. კ. კავშირის წევრათ. ის ჯერ მუშაობდა უპარტიოთა წრეში, შემდეგ კი ის თავისი [illegible]ვლიანი სახით ესტუმრა კომკავშირს. კომკავშირმა იგი მიიღო როგორც გლეხის შვილი; მისი თვალებიდან შეგეძლო ამოგეკითხა მისი გულის ცემა კავშირის სიყვარულით. [illegible]ამი[illegible]ნი პატიოსანი, დისციპლინის მოყვარე, დავალების პირნათლად შემსრულებელი, მაგრამ ყოველთვის [illegible]ღვლიანი, სევდით მოსილი...

ვით ვარდი ყურებ ჩამოყრილი კეკლუც გაზაფხულის გიჟურ ქროლში, ისე სნეულობით შეპყრობილი ამხ. ლიფონავა თავისი ტოლ-ამხანაგების უსაზღვრო სიმხიარულეში მხოლოთ მომავალ დიადზე მოაზროვნე ხალხს ხედავდა; ის უფიქრდებოდა თავის დაობლებულ ცხოვრებას; თავის მომავალს ის ხედავდა სენში, რომლითაც თვითონ იყო შეპყრობილი. მას სწამდა ვით პატიოსან ქალს, რომ მხოლოთ მას შეეძლო ოჯახის შექმნა და ეს ოჯახი არ იქნებოდა ძლიერი ფიზიკურად, სულიერათ, არამედ იქნებოდა ისევ სნეულობით შეპყრობილი და ამით კაცობრიობას მოუტანდა ზიანს. აი ის მიზეზები რამაც გამოიწვია უმანკო არსების თვითმკვლელობა.

ჩვენ ვწუხვართ, მსხვერპლზე, მაგრამ ვამბობთ: ამხ. ლიფონავა მონათლულია იმ დიადი მებრძოლთა კავშირის წევრის სახელით, რომელიც დღეს აკავშირებს რევოლიუციონურ ნაწილს, მას ამ შემთხვევაში ვერავინ ბრალს ვერ დასდებს თვით მკვლელობაში. კომკავშირი ახალგაზდა მებრძოლ ქალს არ დაივიწყებს; დღეს, როდესაც გაზაფხული ფრთებს იშლის და დედამიწა იკაზმება, ახალგაზდათა კავშირი წარსდგება ცხედრის წინ-და ეუბნება: მშვიდობით! როცა მშრომელი განთავისუფლებული მონობისაგან თავისუფლების ჰიმნს იმღერებს, სხვა მებრძოლთან ერთად შენც იქნები გახსენებული.

ჩვენ კი მოვალთ შენს საფლავთან, მოვიტანთ ვარდებს და გეტყვით: ,,წითელი დროშა ფრიალებს მთელს მსოფლიოში, მშვიდობით დაო მშვიდობით!"

სენაკის მაზრის ა. კ. კ. ორგანიზაციის სახელით

ამხ. ათ. კოკაია.

ამხ. საშა ლიფონავას ტრაღიკულად დაღუპვის გამო.

უვადო ტანჯვამ დაიმონა ბავშური სული,
და ჩვენ წაგვართვა მომავლისთვის მებრძოლი ქალი,
ვინც ახლად დაჰგმო უნუგეშო, შავი წარსული,
შეგვფიცა ჩვენ და შეიყვარა ყოფნა ახალი.

თეთრი ოცნება დაიჩრდილა სიმწარის ფარდით
ნორჩი არსება ჩაიხუტა გულში სატანამ;
და ამხანაგებს გვახრჩობს მასზე ფიქრი და დარდი,
ო, რა მძიმეა დანაკლისის ჩვენთვის ატანა.

მაგრამ არ გლოვობს მის დაკარგვას ამხანაგობა:
რა საჭიროა აბა გლოვა შვილისთვის შრომის!
ის ცოცხალია, ვინც ეტრფოდა მშრომელთა ძმობას
და ვისაც ქონდა გულში ცეცხლი ჯალათთან ბრძოლის.

მშვიდობით დაო! შენი ხსოვნა ჩვენთან დარჩება
მშვიდობით დაო! მსხვერპლო შავი, გახრწნილი ბედის;
როს გაიმარჯვებს მსოფლიოში მაშვრალთა კრება,
შენს საფლავს მოვრთავთ ყვავილებით, წითელ ხავერდით.

კ. ვეკუა.

ინგრა ტაძარი.

ალარ ისმის ზარის რეკა,
ალარ გვესმის ხმა საზარი,
უკვე გაქრენ კელეპტრები,
მღვდელ-დიაკვან, მათი ჯვარი.
დაიმსხვრა! და ის ბორკილი
სამუდამოთ მოვიშორეთ.
მის მაგივრად სხვა რამ აღსდგა;
მოვიშორეთ, გაიგონეთ?
ყოველივე ბინძურება
მოვაცილეთ, მოვაშორეთ
და დავარქვით განათლება,
„აღსდგა შრომა!" გავიგონეთ.

„იპო მაროვანი"

ცირკულიარულად.

სენაკის მაზრის და ყველა უბნის მილიციის უ ფ რ ო ს ე ბ ს.

სენაკის სამაზრო აღ-ს შინაგან მმართველობის განყოფილება, თანახმად შინ. საქ. სახ. კომისარიატის განკარგულებისა 27 აპრილის თარიღით № 26, წინადადებას გაძლევსთ დაუყონებლივ აკრძალოთ კონტრაბანდური თუთუნის ყიდვა-გაყიდვა, თუ ასეთს ადგილი აქვს თქვენდამი რწმუნებულ ტერიტორიის ფარგლებში, ვინაიდან ასეთი მოვლენა ზიანს აყენებს მთელ სათანბაქო საქმიანობას საქართველოში.

მიიღეთ ენერგიული ზომები კონტრაბანდის წინაალმდეგ და დამნაშავეთა კანონიერი პასუხისგებაში მისაცემად.

განყ.-გამგე-თავმჯდომარის მოადგილე ა. ლომია.

საერთო ქვე-განყ. გამგე ო. კოდუა.

სალამი ,,კომუნა"-ს

ფოსტა ტელეგრამმა № 9 წითელ არმიის რწმუნებულისაგან, 54. 1923 წ.

ახალგაზდა ნორჩ გაზეთ ,,კომუნა"ს, და მის სულის ჩამდგმელთ.

მიიღეთ მხურვალე სალამი წითელ არმიის მის წითელი პრესის და პოლიტიკური განყოფილებისაგან. გისურვებთ დასახულ მიზნების განსახორციელებლად მშრომელთა საკეთილდღეოდ გამარჯვებას.

გაუმარჯოს გაზეთ „კომუნა"ს, მისი სულის ჩამდგმელ გმირებს.

კომუნისტური წითელი პრესა წითელ არმიასთან ერთად მიისწრაფება მსოფლიო მშრომელთა მყვლეფელების წინაღმდეგ იერიშის მისატანად სოციალისტურ რევოლიუციის საბოლოდ გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ახალგაზდა ნორჩ გაზეთ „კომუნა"ს და მის სულის ჩამდგმელთ!

გაუმარჯოს წითელ პრესას მთელს მსოფლიოზე!

რწმუნებული გვალია.

,,კომუნა"-ს რედაქცია

უსაზღვრო მადლობას უცხადებს სალხინოს რაიონის შემდეგ ამხანაგებს:

1) კოწია ცაავას, 2) პიმენ ჩარგაზიას, 3) ძაკი სხულუხიას, 4) ვანო კალანდიას, 5) ირაკლი ლაშხიას, 6) ერასტო ცაავას და 7) რომანოზ კეშილავას, რომლებმაც შემოსწირეს ჩვენს გაზეთს 1 400,000 მანეთი ფონდის გასაძლიერებლად.

რედაქციის მონდობილობით

ვ. ნადარეიშვილი.

რადიო—დეპეშები.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

მოსკოვი. 9 მაისი. ამ უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ერო გამოშვებით ადგილი ჰქონდა ტემპერატურის აწევას, რომელიც აღწევდა—37, 3; დღეს ტემპერატურა უდრის 37, 1. მაჯის ცემა—96. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

1923 წ. 9 მაისი, დილის 2 საათი

პროფესორები: **მინკოვსკი, კრამერი, ნონნე, ფორსტერი, ბუმკე.**
პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**
ექიმი: **ელისტრატოვი.**
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **სემაშკო.**

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთს.

ლონდონი. 8 მაისი. ,,დეილი ჰერალდში" მოთავსებული წერილის გამო, რომელშიც აღნიშნულია საფრთხე, რომელსაც გამოიწვევს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევა, ,,მორნინგ პოსტი" მოწინავეში სწერს, რომ ინგლისის მუშათა პარტია, ინგლისის კომპარტია და ინდოეთის მუშათა პარტია მეტად ერთსულოვნად უჭერენ მხარს „ყაჩაღ" ბოლშევიკებს საკუთარი (ინგლისის) მთავრობის წინააღმდეგ.

[illegible]ოთ: ,,კი, სავსებით გამართლ[illegible]ა". ვინც სხვანაირად იტყვის, ის [illegible]ნება ან სრულიად შეუგნებელი, [illegible]ელი, ანუ სრულიად შეგნებული [illegible]ერი მუშებისა და გლეხებისა.

[illegible]აბა გადავხედოთ საბჭოთა ქვეყნე[illegible]ს ვებერთელა ტერიტორიას. ვინ [illegible]ტონობს მიწაზე, ვის ეკუთვნის [illegible]ს?—მარტო იმას, ვინც მაზე თავისი ხელით მუშაობს, მარტო მშრომელ გლეხკაცობას.

მისცა თუ არა გლეხკაცობამ ამ მიწის მიღებაში ვინმეს რამე სასყიდელი?-არავისთვის ერთი კაპეიკი არ მიუცია, თუ არ მივიღებთ მხე[illegible]ველობაში იმ სისხლს, (რუსეთში ბევრი, საქართველოში ცოტა) რომელიც მან დაღვარა პროლეტარიატთან ერთად ბრძოლაში მემამულეების წინააღმდეგ.

აძლევს თუ არა დღეს გლეხი, რასაკვირველია, საბჭოთა ქვეყნებში, უსაქმო მემამულეს იმ ღალას, რომელიც მისი ნაშრომის ნახევარს უდრიდა ყოველწლობითი.—არავითარ ღალას დღეს გლეხი არავის აძლევს; მიწა მისია და მისი ნაშრომიც სრულს მის საკუთრებას შეადგენს.

სადაა დღეს მემამულე, ბატონი, აზნაური, თავადი?-ოქტომბრის რევოლიუციის ტალღებმა გადარეცხეს ისინი. გლეხ-კაცობას მათზე რჩება მხოლოთ მწარე მოგონებანი.

სადაა მათი სასახლეები და სახლები, გაშენებული გლეხების შრომით, მაგრამ სადაც მათ ფეხსაც არ შეადგმევინებდენ?-მშრომელი მასის რკინის ცოცხით გამოყრილნი არიან ისინი თავისი სასახლეებიდან და იქ, სადაც უსაქმო ლიპიანი მემამულეები, ქარაფშუტა თავადები და გაფხეკილი აზნაურები განცხრომას ეძლეოდენ, დღეს ისმის საამური ჭიკჭიკი მშრომელთა შვილებისა; დღეს იქ სკოლებია გამართული, მშრომელთა თეატრი, კლუბები და სამკითხველოებია მოწყობილი.

საუკუნოების განმავლობაში სხვისი შრომით ფუფუნება—განცხრომაში მყოფნი ბატონები, მშრომელი მასის ნებით დღეს „ბრძანდებიან" მიწურ სახლებში, სამზარეულოებში და ჰაპან-წყვეტით შოულობენ ლუკმა პურს.

ასეთი ცხოვრება დაიმსახურეს მათ და ეს მიუსაჯა მათ მშრომელმა მასამ, როცა ის გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი. (დანარჩენებზე შემდეგ.)

მუშურ გლეხური სალამით

ს. მამულია.

ინგლისის კომუნისტური პარტიის მანიფესტი

ლონდონი. 7 მაისი. ინგლისის კომპარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება ყველა ორგანიზაციებისადმი, რომელშიც აღწერილია რუსეთის ნამდვილი მდგომარეობა და კაპიტალისტების ცდა რუსეთზე თავდასხმის მოსაწყობათ. მანიფესტი მოუწოდებს მუშებს ერთიანი ფრონტით გაილაშქრონ იმპერიალისტების წინააღმდეგ. მანიფესტში წამოყენებულია შემდეგი ლოზუნგები: „ხელები შორს რუსეთის სავაჭრო დელეგაციისაგან, რუსეთთან ზავის დადება და მისი ცნობა, შორს ომი გაუმარჯოს საბჭოებს, გაუმარჯოს მუშათა რესპუბლიკას". ასეთივე ხასიათისაა ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მანიფესტიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ო ფ ლ ა დ

სოფ. ონტოფო.

პირველ მაისის დღესასწაული სოფ. ონტოფოში სასურველად ჩატარდა. აღტაცებით და განსაკუთრებული სიხარულით მოელოდა ამ დღეს მშრომელი მასსა. ბუნებამაც გაუღიმა და ხელი შეუწყო მათი სურვილების ასრულებას, და გაორკეცებული სიხარული მოფინა მათ სახეზე.

დილის 10-საათზე ონტოფოს სახალხო სახლში გაიმართა „საბავშო დილა" ადგ. სკოლის მოწაფეთა მიერ. მათი პაწია ენერგიის დაუზოგველობა გვინტკიცებდა მათი მტკიცე და შეურყეველ ნაბიჯებს მომავლისადმი.

საღამოს 6-საათზე დემონსტრაციის შემდეგ მიტინგი გახსნა ონტოფ. თემკომის სახელით გ. ნადარეიშვილმა, მისასალმებელი სიტყვა აღმასკომის სახელით წარმოსთქვა არტ. ნადარეიშვილმა მშრომელი ქალთა ორგანიზაციის სახელით მ. ნადარეიშვილმა. და მ. მშვიდობაძემ. მასწავლებლების სახელით ს. სიგუამ. კომ-კავშირის სახელით კ. თოფურიამ.

შემდეგ კი ვრცელი მოხსენება გააკეთა სამაზრო პარტკომის სახელით ამხ. ვ. ნადარეიშვილმა მომხსენებელმა ფართედ გაშუქა როგორც 1-მაისის ისტორია, ისე მისი მნიშვნელობა საბჭოთა ქვეყნებში და იმპერიალისტურ ქვეყნებშიაც. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც მშრომელი მასა გამოხატავდა სოლიდარობას იმპერიალიზმის უღლით დაჩაგრულ პროლეტარიატთან და ზიზღს უცხადებდა კაპიტალის მტაცებლურ პოლიტიკას მუშებზე შეტევის საწარმოებლად.

საღამოს ადგილ. დრამატიულ წრის მიერ გამართულ იქნა წარმოდგენა რევოლიუციონური შინაარსის. ევ. თოფურიძის ხელმძღვანელობით, სადაც აუარებელი ხალხი დაესწრო; მოხუცი ქალები და კაცებიც. წარმოდგენის წინ ამხ. ვ. ნადარეიშილმა ილაპარაკა რელიგიის წარმოშობაზე. მშრომელი მასსა დიდის ყურადღებით უსმენდა ყოფილ საკურთხეველზე მდგომ ორატორს.

მარო ნადარეიშვილი.

აგრარულ რევოლიუციის შედეგები სალხინოს რაიონში.

სრულიად ს. ს. რ. ც. აკ. მე-3-ე საგანგებო სესიის დადგენილების თანახმად სენაკის სამაღმასკომის ხელმძღვანელობით მიწის ჩამორთმევა და განაწილება უმიწყლო გლეხებზე იწყება სალხინოს რაიონში 15 თებერვლიდან. მიწის ჩამორთმევის დაწყებამდე მოხდა მიწების „გახარისხება", რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოებმა, მიწის კომისიამ, ასის და ათის თავება და აგრეთვე ყველა კუთხეებიდან ულარიბეს გლეხებმა; ამის შემდეგ კომისია შეუდგა მიწების ჩამორთმევას, რომლის დროს იგი ხელმძღვანელობდა სამაზრო აღმასკომის მიერ გამოცემულ ინსტუქციით და ცენტრალურ ორგანოების დეკრეტებით, დებულებებით და ცირკულიარებით. არ შევეხებით იმას თუ რამდენი მშრომელ ხალხის სიხარულს საზღვარი არ ქონდა, მხოლოდ ვიტყვით მემამულეებზე, რომლებსაც თავზარი და მეხი დაეცათ. როგორც კი კომისია შეუდგა თავის მოვალეობის შერულებას, ისინი არც ცოცხალი იყვნენ და არც მკვდარი. მიწის რეფორმა მოთავდა სალხინოს უბანში 15 მარტს, ჩამოერთვა მემამულეებს სხვა და სხვა ხარისხების მიწა 600 ქცევამდე; ჩამორთმეულ იქნა აგრეთვე ხუთი დიდი სახლები. ჩამორთმეულ მიწებიდან თემთა აღმასკომებს გადაეცა ხელოვნურად გაშენებულ მიწები სულ 25 ქცევამდე; გამოუცხადეთ თუ არა დამთავრებულად მიწის რეფორმა საზოგადო კრილობებს, მრავალ რიცხოვან კრება ერთხმად ესალმებოდა კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლებას ასეთი დიდი საქმის გაკეთებისათვის, აგრეთვე გამოუცხადეს მადლობა მიწის რეფორმის ჩამტარებელ პირებს, და ამით ბოლო მოეღო მემამულების ბატონობას გლეხებზე. მიწის რეფორმის ჩატარების შედეგი გახლავთ ის, რომ მთელი რაიონის მშრომელი მასა აღფრთოვანებულია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გაკოტრებულ და გახულიგანებულ უმნიშვნელო პირებს რომლებმაც მწარე მათრახები იგემეს ამ გარემოებით. მათ დაიწყეს საჩივარი როგორც მაზრაში, ისე ცენტრში, მაგრამ ამაოდ.

ჩვენი რაიონის გლეხობა ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდა, რომ საბჭოთა მთავრობა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით უმტკიცებს ყველას, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა ინტერესების დამცველია,

დღეს საბჭოთა მთავრობამ ჩვენში უკვე ბოლო მოუღო ფეოდალურ-ბატონყმურ საზოგადოების ყოველგვარ ნაშთებს.

პიმენ ჩარგაზია.

წერილი რედაქციისადმი.

გაზეთ „კომუნა"-ს რედაქციას ვსთხოვ გამოაცხადოს შემდეგი: მე 1916 წლიდან ვიყავი სოც. ფედერალისტთა პარტიის თანამგრძნობი.

შარშან მაისში ჩემი დაპატიმრების, დროს ბრალდებად წამომიყენეს მენშევიკური პროპაგანდა-აგიტაცია, ეს უკანასკნელი აზრი კი ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ჩემ შეხედულებას რადგანაც მენშევიკებსა და ჩემ შეხედულებას შორის საშინელ უფსკრულს ვამჩნევდი ყოველთვის.

ჩემი სიმპატია, როგორც უფრო თავისებურად მოაზროვანე პიროვნების, ყოველთვის მიმართული იყო კომპარტიისადმი, მხოლოდ ამ პარტიიდან მაცალკევებდა მარტო ეროვნული საკითხი.

ამ უკანასკნელ ხანებში მე დავრწმუნდი, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანასწორად იცავს მთელი ქვეყნის ერების ინტერესებს; არაფერი დამრჩენია ამ პარტიის საწინააღმდეგო და მაქვს სურვილი პატიოსანი თანაგრძნობისა და შეძლებისა და გვარად თანამშრომლობისა ამ უკანასკნელთან.

შალვა ხახუბია.

დ. ბანძა.

შრომის დაცვის კომისიის და მის წარმომადგენლის

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

1. ადმინისტრაციასთან ერთად ზრუნვა სანიტარულ-ჰიგიენურ და შრომის პირობათა დაწესებულებაში დასაცავად და ინციატივა საჭიროებისამებრ დაწესებულებების რემონტის და გაშენების პროექტის გამომუშავებისა მუშების ჯანმრთელობის დასაცავად.

2. კომისიისავე საზრუნავია თუ რამდენად სისუფთავეში ინახება ტანისამოსის შესანახი და საპირფარეშო.

3. კომისიის მოვალეობაა მოზარდთა შრომის თვალ-ყურის გდება— 16 წელზე უმცროსნი მუშაობენ დღეში 4 საათს (136 მუხ. შრომის კანონთა კოდექსისა) 16 წლიდან 18 წლამდე კი 6 საათს.

4. კომისია მონაწილეობას იღებს შრომის ინსპექტორთან ერთად მცირეწლოვანთა მოხსნაში და მათთვის მატერიალურ უზრუნველყოფისა და სწავლის საშუალებათა გამოძებნაში.

აკრძალულია 16 წელზე უმცროს მუშაკის სამსახურში მიღება (მუხ. 135 შრომის კანონთა კოდექსისა) გარდა განსაკუთრებულ შემთხვევის, რაც შესაძლებელია მხოლოდ ინსპექტორის ნებართვით.

5. კომისია თვალ ყურს ადევნებს თუ რამდენათ ხორციელდება სამუშაო დღის ნორმალური სიდიდე.

სამუშაო დრო არ შეიძლება აღემატებოდეს 8 საათს. იმ პირთათვის კი, რომელნიც 16—18 წლის არიან ეწევიან გონებრივს და საკანტორო შრომას, სამუშაო დღე გრძელდება 6 საათს (მუხ 94. 95 შრომის კანონთა კოდექსის).

6. კომ სიის მიზანსავე შეადგენს წინასწარ გამორკვევა თუ რამდენათ საჭიროა სამუშაო დროის ნორმის გადიდება როგორც მაგალითად ზედმეტი მუშაობის შემოღება და სხვა.

ზედმეტი მუშაობა არ არის დასაშვები (მუხ. 103 შრომის კანონთა კოდექსისა).

ზედმეტი მუშაობა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ განსაკუთრებულ შემთხვევებში: ა) როდესაც ბუღალტერი ადგენს წლიურ ანგარიშს. ბ) როდესაც დაწესებულება არის ორგანიზაციის სტადიაში (იხ. შრ. კან. კრ. მუხ. 104). ზედმეტი მუშაობა იმ დროის შესავსებათ, რომელსაც გამოსტოვებს მუშაკი, სამსახურის დაგვიანების გამო, დაუშვებელია (მუხ. 107 შრ. კან. კოდექსი). ყველა ზემო აღნიშნულ შემთხვევებში, როცა საჭირო იქნება ზედმეტი მუშაობა, საჭიროა მის საწარმოებლათ წინასწარი თანხმობა, როგორც პროფ-კავშირებისა, ისე შრომის ინსპექტორისა.

7. კომისია თვალ-ყურს ადევნებს, როგორც მუშათათვის ისე ფეხ-მძიმე და ძუძუმაწოვებელ ქალთათვის შვებულების მიცემას.

ქალნი, რომელნიც ეწევიან ფიზიკურ შრომას, ორსულობის დროს თავისუფლდებიან რვა კვირით მშობიარობამდე და რვა კვირით მშობიარობის შემდეგ, ის ქალი-კი რომელიც ეწევა გონებრივ და საკანტორო შრომას,—თავისუფლდება 6 კვირით მშობიარობამდე და 6 კვირით შემდეგ. (მუხ. 132 შრომის კანონთა კოდექსისა).

8. კომისიის მოვალეობას შეადგენს დაწესებულების მუშაკთა გაცნობა შრომის კანონებთან ლექციების მოწყობით.

9. კომისიამ თვალყური უნდა ადევნოს, რათა თითოეულ მუშა-მოსამსახურემ შეიძინოს ანგარიშგასასწორებელი წიგნაკი.

10. კომისია თვალ ყურს ადევნებს, რათა ავადმყოფობის დროს მუშა-მოსამსახურეებს დაუბრკოლებლივ მიეცესთ დამზღვევი კასიდან დახმარება.

11. კომისია თვალ-ყურს ადევნებს დაწესებულების მიერ დამზღვევ კასაში სათანადო $^0/_0{}^0/_0$-ის დროზე შეტანას (მუხ. 177 შრომ. კან. კოდექსისა).

11. კომისიამ უნდა დაიცვას შრ. კან. კოდექსის 29 მუხლი, რომლის ძალით აკრძალულია მონათესავე მოსამსახურეების ერთ დაწესებულებაში ყოფნა, თუ კი მოსამსახურეთა რიცხვი 50 ს არ აღემატება.

სენაკის მაზ. შრომის ინსპექტორი

არ. ნადარეიშვილი.

სამაზრო აღმასკომში

აღმასკომის საბიუჯეტო კომისიის მუშაობა.

კომისიის მუშაობა მიმართულია შემოსავლის წყაროების აღმოჩენისა და გასავლის შემცირებისაკენ. ამ მიზნით კომისიამ შეიმუშავა რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროექტები: თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის, შტატის შემცირების და დეკრეტ № 81-5 გატარების შესახებ. აღნიშნული პროექტები აღ-ს პლენუმის მიერ განხილულ და დამტკიცებულია.

თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ განხილულ იქნა ორი პროექტი: 1) ერთ-პიროვნულ მმართველობის საფუძველი აღსრულების საქმეში (თემის საბჭოს დადგენილება სისრულეში მოყავს საბჭოს თავმჯდომარეს.) 2) თემთა შეერთება და რაიონულ აღმასკომების დაარსება (9 რაიონულ აღმასკომი და 10 სათემო აღმასკომი). პირველის ცხოვრებაში გატარება უფრო მიზანშეწონილად იქნება ცნობილი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით ორივე პროექტი წარედგინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს-განსახილველად.

ორ-ნახევარ თვიანი პედაგოგიური კურსები.

15 ივნისიდან ქ. ახალ-სენაკში განათლების განყოფილება ხსნის $2^1/_2$ თვიან წითელ პედაგოგიურ კურსებს.

აღმასკომმა დააკმაყოფილა შუამდგომლობა განათლების განყოფილებისა ქ. სენაკში ორ-ნახევარ თვიანი პედაგოგიურ კურსების გახსნის შესახებ, დაევალა საბიუჯეტო კომისიას განთლების განყოფილებასთან ერთად შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა კურსების ჩასატარებლად სამაღმასკომის ანგარიშზე 25 კურსანტის აყვანის საფუძველზე.

შემდეგ სხდომაზე წარმოდგენილ და დამტკიცებულ იქნა სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა. განცხადებებს უკვე ღებულობს განათლ. განყოფილება.

ჩვენი ფოსტა.

სალხინო. ამხ. პიმენს—გამოგზავნეთ ფაქტიური საბუთები.

პასუხისმგებელი: **სარედაქციო კოლეგია.**

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

თეატრი და ცხოვრება.

კვირას, 13 მაისს პროლეტარულ-დრამატიული თეატრში დაიდგმება პ ი ე ს ა

„შენი ქირიმე"

გაზ. „კომუნა"-ს სასარგებლოდ ადგილობრივი თანამგრძნობი და უპარტიო ახალგაზდობის მონაწილეობით.

ა ნ ო ნ ს ი:

ხუთშაბათს, 17 მაისს პროლეტარულ-დასის მიერ იდგმება პიესა

„დამნაშავეა"

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 359 გაცემული ძვ.-სენაკის თემის აღმასკომის მიერ ერთი წლის ვადით პარმენ კირცხალიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა ნუსხა № 4059 მოცემული ბანძის თემიდან არჩ ენ რურუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

სენაკის სამაზრო აღმასკომის კ. მარქსის სახელობის ს ტ ა მ ბ ა.